



ოზურგეთში სახალხო დღესასწაული „ალეგრობა 2022“ მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა, რომელსაც სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, მოადგილესთან ზაზა შიშინაძის, გურიის მაჟორიტარ დეპუტატთან ვასილ ჩიგოვიძის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან ავთანდილ თალაკვაძის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდ-

ომარე დავით დარჩიასთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრო. ალეგრობის სახალხო დღესასწაულზე საპატიო ოზურგეთელები დაავილონ, ასევე გაიმართა სხვადასხვა სპორტული ასპარეზობები, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ნაწარმი, ჩატარდა მასტერ-კლასები. ღონისძიება გალა კონცერტით დაიხურა.



ალეგრონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 29 (10440) 10 ნოემბერი 2022 წ. შპსი 80 თეთრი.

ახალი მეთოდის დანერგვის შემდეგ, ერთსა და იმავე მომსახურებას, ყველა კლინიკაში, ერთი ტარიფი ექნება



კლინიკა, კაციონდს, დაამატებით გადასახადს ვეღარ დაუნახებს

ალიონი. პირველი ნოემბრიდან, სამედიცინო დაწესებულებებში, მომსახურების დიაგნოზთან შეჭიდული ვეფუფებით (DRG) დაფინანსების ახალი მოდელი ამოქმედდა. DRG სისტემით, ავტომატურად გამოითვლება ის სამართლიანი ფასი, რასაც სახელმწიფო, მოქალაქეების ხარისხიანი მკურნალობისთვის გადაიხდის. ახალი მეთოდის დანერგვის შემდეგ, ერთსა და იმავე მომსახურებას, ყველა კლინიკაში, ერთი ტარიფი ექნება. კლინიკა პაციენტს, დამატებით გადასახადს ვე-

ღარ დაუწესებს, – როგორცაა, მაგალითად, ე.წ. VI პალატის ან აყვანილი ექიმის პონორარი. ყველა პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თანაგადახდის წილი (0-დან 30%-მდე, პაკეტების შესაბამისად) ითვალისწინებს. DRG მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, დაფინანსების ფართოდ აპრობირებული და ეფექტური მეთოდია და მისი საშუალებით, ხელმისაწვდომია ხარისხიანი მკურნალობა ზედმეტი დანახარჯების გარეშე.

„მოვა დრო და ბევრი წასული დაუბრუნდება ამ ლამაზ სოფელს“

ალიონი. სოფელი ასკანა ოზურგეთიდან 17 კილომეტრის დაშორებით ზღვის დონიდან 173 მეტრს სიმაღლეზე მდებარეობს. ადრე ასკანის თემს გვაბრაით ერთიქვა, რომელიც მეფუტკრეობასთან იყო დაკავშირებული. ამჟამად ასკანის თემში თავად სოფელი ასკანა, მზიანი (ფიჩხიჯვარი) და დაბალი ეწერი შედის, სულ სოფელში 282 კომლია, 600-მდე ადამიანი ცხოვრობს. პირველი რესპოდენტი, რომელსაც ოზურგეთი-ასკანის სამეზარეულო მიკროავტობუსში შევხდით, ნელი ნაცვალაძე იყო, აწვარდაცვლილი ზიგფრიდ ვასაძის მეუღლე. – ჩემი მამამთილის, გიორგი ვასაძის სახელს ბევრი კარგი რამ უკავშირდება ამ სოფელში. იგი წლების მანძილზე ასკანის კოლმეურნობის თავმჯდომარე იყო. მშრომელი ხალხი ცხოვრობს სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად თბილისში ვცხოვრობ, არ მეთომა სოფელი და ახლაც აქ ვარ. ვაკეთებულეც უნდა დაინახო და გასაკეთებელიც. იმედი მაქვს, ახალგაზრდები კარგად გაართმევენ თავს ახალ გამოწვევებს – გვითხრა ქალბატონმა ნელიმ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ასკანაში ირაკლი ჯაველიძე და მისი თანაშემწე ნატო გვილავა ადგილზე დაგვხდნენ. – ელექტრონერგია, ბუნებრივი აირი და წყალი აქვს სოფელს. პრობლემა პერიოდულად წყლის მოწოდებაშია, რადგან მთისპირი-ასკანა-დაბალი ეწერის წყლის სისტემის სათავე ნაგებობა წვიმების შემდეგ გასაწმენდაა. „სატისი“ გამოდარებისთანავე ასუფთავებს. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბუკა ჩხარტიშვილი ჩვენს ზარებს უყურადღებოდ არ ტოვებს, სწრაფად რეაგირებს – გვითხრა ირაკლი ჯაველიძემ. სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამაზე ვკითხეთ. – 20 ადამიანი დაეასაქმეთ. კარგი პროგრამაა. მათ ოჯახებს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდათ. შეგიძლიათ გაეცნობოდით, რამდენიმე აქვე მუშაობს... ირაკლიმ და ნატომ ამ პროგრამის პროექტის დახვეწაზეც გამო-თქვეს თავიანთი აზრი, რომელიც ანაზღაურების თემას ეხება.



თამარ ჩანჭელიანს და მაია ქურასხელიანს გავესაუბრეთ. – წარმოშობით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარდნალადან ვარ. აქ გავთხოვდი. ოჯახში 6 სული ვართ. მეუღლე, ორი ბავშვი და მეუღლის მშობლები. სოფლის საექიმო ამბულატორიას ვალ-ავებ. სოციალურად დაუცველია ჩვენი ოჯახი. დამატებით 300 ლარი ყოველთვიური ანაზღაურება, ნამდვილად დახმარებაა ჩვენი ოჯახისთვის – გვითხრა თამარ ჩანჭელიანმა. ეკომიგრანტს მაია ქურასხელიანის ოჯახის სოციალური ქულა 67 000-ია. სახლში მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს. ყოველდღიურად კლუბს ალაგებს და 300 ლარ ანაზღაურებას იღებს. სოციალური პროგრამით

კიდევ ერთ დასაქმებულს შევხვდი სოფელ ასკანის საბავშვო ბაღში. **ეკატერინე ქურასხელიანი-მჭავანაძე** ჭურჭლის მრეცხავადაა დასაქმებული. – ქუთაისი უნივერსიტეტი დავამთავრე. დაწყებითი განათლების სპეციალისტი ვარ. 15 წლის წინ გავთხოვდი ამ სოფელში. ორი ბიჭის დედა ვარ. მცირე შემოსავლიანი ოჯახი მაქვს. აქამდე ვერ დავსაქმდი. ახლა აქ ვარ საბავშვო ბაღში – გვითხრა მან. ასკანის საბავშვო ბაღში სოფლის პროგრამით ბავშვების სათამაშო სივრცე გააკეთეს. (7 ათასი ლარი დახარჯეს). ბაღის მენეჯერი **ნატო შანიძე** გვეუბნება, რომ მომავალში ასკანაში ახალი ბაღის მშენებლობაზე საუბრობენ, რაც მისასალმებელია, მაგრამ არის ერთი პრობლემა

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრი გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარმოები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია
«ალიონით»

გიორგი ურუშაძემ შვედეთის ელჩთან შეხვედრა გამართა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ, სამხარეო ადმინისტრაციაში, შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან საქართველოში ულრიკ ტილესტრომთან შეხვედრა გამართა.

მხარეებმა შეხვედრის ფარგლებში იმ პროექტებზე ისაუბრეს, რომლებიც გურიის რეგიონში შვედეთის სამეფოს მხარდაჭერით ხორციელდება. ასევე, იმსჯელეს ორმხრივი თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე.



კოლხეთის ეროვნულ პარკთან ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება



საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღანჩხუთის მუნიციპალიტეტში კოლხეთის ეროვნულ პარკთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში კოლხეთის ეროვნულ პარკამდე მისასვლელი 9,923 კმ-იანი სრულად ამორტიზებული გზის რეაბილიტაცია. საჭირო ადგილებზე მოეწყო სანიაღვრე არხები და სხვა ხელოვნური ნაგებობები. მიმდინარე ფიზიკის ნაბიჯზე კეთდება ნაემსადგომი, სველი წერტილი, საპიკნიკე და საპარკინგე ადგილები. გამოიყოფა ადგილები სპორტული ტექნიკისთვის, ადგილობრივი ნაწარმის გასაყვად. დაგეგმილია ვიზიტორთა ცენტრისა და ღია კაფეს მშენებლობა. მიმდინარე სამუშაოები დღეს ღანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ დაათვალიერეს.

სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ღანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში დასრულდა წმინდა თეკლას სახელობის მონასტერთან მისასვლელი 4,3 კმ გზის მოსაფაღტება. დაწყებულია საჭირო ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა. დასკვნით ეტაპზეა ემსკანის კანიონთან მისასვლელი დასასვენებლის მოწყობა. კეთდება საპარკინგე და საპიკნიკე ადგილები. სოფელში არსებულ მე-7 საუკუნის გამოქვაბულთან მოეწყობა მისასვლელი საფეხმავლო ბილიკი. პროექტის ფარგლებში დაწყებულია ზიპლაინისა და კვლიბილიკის მოწყობა, რომელიც ჯუმათის მამათა მონასტრამდე მისასვლელი ერთ-ერთი გზა იქნება.



სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა მოადგილე თორნიკე ტიკაძესთან ერთად დაათვალიერა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას ევროკავშირის თვითმმართველობათა ასოციაციის წარმომადგენლობა სტუმრობდა



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სამუშაო ვიზიტით ეწვია ევროკავშირის ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაცია „ბაგის“ დელეგაცია პოლონეთიდან.

ტურისტული ბრენდის პარტნიორობის შექმნას, ასევე, გურიის ბრენდის მონაწილეობას ვარშავის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე.

„თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრთან“ პარტნიორობით, ასოციაციამ 2021 წელს წამოიწყო პროექტი „ტურისტული ბრენდი, როგორც გურიასა და ევროკავშირის ბაგის ტურიზმის ინდუსტრიის გაძლიერების შესაძლებლობა“.

აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეს უდაბნოს მამათა მონასტერი, „ნაბელავის“ ქარხანა, „მატო ბუკისციხე“, სადაც გაიმართა ღვინის დეგუსტაცია, ბოლოს კი ხილის ჩირის საწარმო „სკივს“ ეწვივნენ სოფელ ხიდისთავში.

გურიის რეგიონში შემავალმა სამივე მუნიციპალიტეტმა და ზემოაღნიშნულმა ასოციაციამ გასულ წელს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ტურიზმის სფეროში თანამშრომლობისა და მიმდინარე პროექტის გაძლიერებაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, ქალაქ პრობუშოვის მერი მარტა მაიფესკა, ქალაქ ვლადავის მერი ვისლავ მუზინსკი, ევროკავშირის ბაგის დირექტორი გალინა გრაბარჩუკი, პოლონეთის საბჭოს პრეზიდენტი-აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრი- ნატ-ალა ვაშუკოვსკა, ჩოხატაურის მერიის უფროსი სპეციალისტი ტურიზმისა და კურორტების საკითხებში ანა შარაშინიძე და ლუბლინის მარშალის ოფისის თანამშრომელი ევლინა დოლინსკა.

ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილებაზე დაყრდნობით, პარტნიორობა შეიმუშავეს ახალი ორწლიანი პროექტის „Guria- CELEBRATE LIFE“ განხორციელების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს ტურისტული შესაძლებლობების მუნიციპალიტეტების დონეზე გაძლიერებას, გურიის რეგიონის ბრენდის სტრატეგიისა და ტურისტული პროექტების კონცეფციის შემუშავებას.

თათია ნიკოლაიშვილი ევროსაბჭოს რეგიონალური ანსამბლის კონგრესის მუდმივმოქმედი წევრი გახდა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, თათია ნიკოლაიშვილი, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მუდმივმოქმედი წევრი გახდა. იგი გასული თვის ოქტომბრის ბოლოს იმყოფებოდა ქალაქ სტრასბურგში და მონაწილეობა მიიღო კონგრესის მუშაობაში. კონგრესის მონაწილეებს ევროპის საბჭოს 48 ქვეყნიდან თათია ნიკოლაიშვილმა სიტყვით მიმართა, სადაც მხარდაჭერა გამოხატა უკრაინელი ხალხისადმი. ვთავაზობთ ამონარიდს მისი სიტყვიდან:



„მე ვარ საქართველოდან, ქვეყნიდან, რომლის 20 პროცენტი ოკუპირებული აქვს რუსეთს, რუსეთს რომელიც ტერორისტული სახელმწიფოა და ახლა ოფიციალურ კიევს, მშვიდობიან მოსახლეობას, ბავშვებს, ქალებს უშენს ბომბებს. ვარ იმ ქვეყნიდან, რომელსაც რუსეთმა მოუწყო გენოციდი 2008 წელს, დროებით წაართვა ტერიტორიები. მათმა ტერორისტულმა, ევრედწოდებულმა არმიამ გაანადგურა ჩვენი ხალხი, სოფლები, აკვიწოთა ოჯახები და ამ წუთებშიც მავთულხრტებს აბამენ საქართველოს ტერიტორიაზე... გაიმარჯვებს უკრაინა და ეს ნიშნავს, რომ გაიმარჯვებს ცივილიზებული სამყარო, გაიმარჯვებს ბოროტებაზე და იქნება მშვიდობა. ჩვენ გვინდა ამ მშვიდობიანი, ცივილიზებული, გამარჯვებული სამყაროს, ხალხების ნაწილი ვიყოთ. ჩვენ ვართ ქართველები და ჩვენ ვართ ევროპელები !!!“ – განაცხადა ნიკოლაიშვილმა მის გამოსვლაში.

თათია ნიკოლაიშვილმა თავის სიტყვაში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მწვავედ გააკრიტიკა. ოპოზიციური პარტიას კონგრესში, თათიასთან ერთად, სენაკის საკრებულოს დეპუტატი, სვედია უგრეხელიძე წარმოადგენს.

ალბროვის დღესასწაულზე ოზურგეთის საპატრო მოქალაქის სტატუსი კიდევ ათ გამორჩეულ ადამიანს მიენიჭა



— მოხარული ვარ და მადლობას ვუხდით საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელს, ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს, რომელმაც ჩვენი ქალაქის საპატრო მოქალაქეებს ვიღდოს სახით 10 000 – 10 000 ლარი გადასცა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატრო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

სამაშველო ოპერაციებში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებული სამსახურისთვის მეხანძრე-მაშველ გრიგოლ ქავთარაძეს;

ქართული ტრადიციული გალობისა და ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის,

ქველმოქმედებისა და კულტურის სფეროს მხარდაჭერისთვის, ქალბატონ **ნანა ვითაიას;**

ჯანდაცვის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და თანამოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროცესში გაწეული შრომისთვის ექიმს — **ალექსანდრე აბრამიშვილს;**

ჩვენი ქალაქის მეეზოვეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების სერვის ცენტრის თანამშრომელს, გამორჩეულად შრომისმოყვარე და პასუხისმგებლიან ადამიანს, ქალბატონ **ალევარტ ავაკიანს;**

სამოქალაქო განათლების, სოციალური დაცვისა და განვითარების

სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ქალბატონ **მარინა თოფურას;**

ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი გამორჩეული წვლილისთვის, პროფესიონალს, ღირსების ორდენის მფლობელს, ლობტარ **ბიძინა მჭავიას;**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჭადრაკის აღორძინებისთვის, გურიის რეგიონში გაწეული წარმატებული საქმიანობისთვის, ასევე, იუსტიციის სფეროში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, იურისტს, პროფესორ **გია ებრაღიძეს;**

სამეცნიერო სფეროში წარმატებული საქველმოქმედო და პედაგოგიური საქმიანობისთვის ქალბატონ **მანანა ლაქონას;**

სპორტის სფეროში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპორტსმენს და მწვრთნელს **კახაბერ აბაშიძეს;**

საჯარო სექტორში მრავალწლიანი უმწიკვლო მუშაობისთვის მზევინარ **სალუქვაძეს.** ქალბატონი მზევინარი მერიის თანამშრომელი და თავისი საქმის პროფესიონალია.

თითოეულ თქვენგანს გაწეული ღვაწლისთვის! გისურვებთ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას!—აცხადებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **ავთანდილ თალაკვაძე.**

გურიის ჩაის გზის ასოციაციის წევრები გურჯაანის ფესტივალს სტუმრობდნენ



„ქართული ღვინის ფესტივალი 2022“ კახეთის რეგიონში, კრძოდ, გურჯაანში 15 ოქტომბერს გაიმართა. კახეთში „გურიის სტუმარ მასპინძლობის გზის“ და „ჩაის გზის ასოციაციის“ წევრების ვიზიტი, USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის და ბაზვი ჰესის ერთობლივი პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

გურულმა მეწარმეებმა ფესტივალზე წარადგინეს ადგილობრივი პროდუქცია: გურული ღვინო, ჩაი, თაფლი, ჩირი და ჩურჩხელა. კახეთის რეგიონში გურულმა პროდუქტმა დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც ვიზუალური, ასევე საგემოვნო თვალსაზრისით.

„ასოციაცია ჩაის გზის ჩამოყალიბების მიზანი, ადგილობრივი, სამეწარმეო და ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციაა. მიზნის მისაღწევად ასოციაცია პარტნიორ ორგანიზაციებს; ბაზვი ჰესის და USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით აწვდის და მონაწილეობს ღებულობს საქართველოს რეგიონებში, აგრო, ტურისტულ ფესტივალებში. გურჯაანის ფესტივალში მონაწილეობა ახალი გამოწვევაა ასოციაციის წევრებისთვის. ჩაი, ღვინო, ჩურჩხელა, მშრალი ხილი, თაფლი, დიდი ინტერესით სარგებლობს ფესტივალის ვიზიტორებში“ — განაცხადა ჩაის გზის ასოციაციის ხელმძღვანელმა, **ალექო მამულაძემ.**

„ასოციაცია ჩაის გზის გაძლიერება, ერთ-ერთი ჩვენი მნიშვნელოვანი პროექტია, რომელსაც USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროექტთან პარტნიორობით ვახორციელებთ. ჩვენი მიზანია, ერთი მხრივ გაავლიეროთ ასოციაცია,

რომლის პირდაპირი მოვალეობაა თავის მხრივ, იზრუნოს გურული ჩაის ბრენდის განვითარებაზე, და მეორეს მხრივ ვახალისებთ და ვეხმობთ გურიაში სტუმარ-მასპინძლობის სრულყოფილ გამოცდილებას, რომელიც გამასპინძლობის კომპონენტში გამოიყენებს იმ აუთენტურ შესაძლებლობებს, რომელიც განსხვავებს გურიის რეგიონს საქართველოს სხვა რეგიონებისგან, და რასაც ტურისტი მხოლოდ აქ, მწვანე გურიაში ნახავს და გამოცდის“ — განაცხადა ბაზვი ჰესის გარემოსდაცვისა და სოციალური პროექტების მენეჯერმა, **დავით კობერიძემ.**

კახა ნაცყვია (მეწარმე): — მსგავსი ფესტივალი, თითოეულ მეწარმეს გვეხმარება, როგორც ჩვენი ბიზნესის განვითარებაში, ასევე, თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შეფასებაში.

„მოვა დრო და ბევრი წასული დაუბრუნდება ამ ლამაზ სოფელს“



— დროებით სხვა შენობაში გადასვლა შეუძლებელია, რადგან საბავშვო ბაღებში დანერგილ სტანდარტებს ვერ დავაკმაყოფილებთ. გამოდის, რომ ერთ წელზე მეტი სოფელში ბავშვები არ იმუშავენ — გვითხრა მან.

სოფელ მზინის საბავშვო ბაღში (მენეჯერი თამარ კიკვაძე) ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ტენდერში გამარჯვებული შპს „თომშენი“ (ქუთაისი) აწარმოებს სამუშაოებს. აქ 54 ათასი ლარია გამოყოფილი.

— შარშან ამ ბაღის ერთ-ერთ ოთახში ხანძარი გაჩნდა და სახურავი ნაწილობრივ დაზიანდა. ამჟამად მთლიანად შეეცვალეთ სახურავი, შიდა კეთილმოწყობის სამუშაოებსაც ამ დღეებში მოვრჩებით — გვითხრა კომპანიის წარმომადგენელმა **თენგიზ კვანტალიანმა.**

სკოლების თემასაც შეეხებოთ.

ასკანის თემში ასკანის საჯარო და მზინის დაწყებითი სკოლების ახალი შენობები უნდა აიგოს. მზინის დაწყებითი სკოლა ამჟამად საბავშვო ბაღის ერთ ნაწილშია განთავსებული. პედაგოგებს ვესაუბრეთ:

— დრე მზინის სკოლაში 40-45 ბავშვი იყო. ახლა 7 ბავშვია. 6 პედაგოგი ვმუშაობთ. ხის ამორტიზებული შენობა ახალი კაპიტალური ნაგებობით უნდა შეიცვალოს. ველოდებით მშენებლობის დაწყებას — გვითხრა **დოდო მეგრელიძემ.**

— სოფელში სკოლაც და ბაღიც თანამედროვე სტანდარტების უნდა იყოს. სოფელი არ უნდა დაიკლოს. ბევრი სახლის კარია გამოკეტილი, მაგრამ მოვა დრო და ბევრი ქალაქში თუ უცხოეთში წასული დაუბრუნდება სოფელს — გვითხრა ფსიქოლოგის პედაგოგმა **ნინელი ჯაველიძემ.**

ახალი სკოლის შენობის აგებას სოფელ ასკანის ცენტრშიც აპირებენ.

— მიწის ფართობის გამოყოფის საკითხია რთულად. სკოლას სტანდარტებით გათვალისწინებული ფართობი სჭირდება, აქ ბევრი ობიექტის პრივატიზება მოხდა, ამიტომ დარჩენილი ფართობები არასაკმარისია, ან რელიეფი არაა მისაღვამი. ვერ-ჯერობით არაა გადაწყვეტილი — გვითხრა ირაკლი ჯაველიძემ.

სოფლის მთავარი პრობლემა — დემოგრაფიული მდგომარეობაა. წელს 20-მდე ადამიანი გარდაიცვალა. ახალი სიცოცხლის გაჩენის სიხარული წელს სოფელში არ ყოფილა... სოფელში ამჟამად სოფლის პროგრამის ფარგლებში ცალკეულ უბნებსი განათების სამუშაოები სრულდება. ასეთი სოფელ მზინაში ნაცვალაძეების პატარა უბანი ვხაზეთ.

„როილ ასკანამ“ წელს სოფელ ბავშვის ტერიტორიაზე არსებულ ვენებსში „ჩხავერი“ უკვე დაკრიფა და დაწურა. ქვის მაღალი გალავნისა და დიდი ჭიშკრის გადამა მდგარი შენობა სოფელს ლამაზ იერს აძლევს. რამდენიმე ასკანელი შენობის დაცვაში მუშაობს. კიდევ ერთი პირი ღვინის მოვლა-პატრონობას ემსახურება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი დეპუტატი **ილია მამალაძე** მოინახულეთ.

— ამ ახალგაზრდებს გვერდში დგომა სჭირდებათ. კარგი სოფელია, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაზეა საუბარი. — გვითხრა მან.

— ბატონმა ილია მამალაძემ სწორი თქვა. თანადგომა ძალიან მნიშვნელოვანია. რომ არა, ოზურ-



გეთის მუნიციპალიტეტის მერის და მისი გუნდის თანადგომა, ბევრს რამეს ვერ გააკეთებდით. ახლა დამეწყრილი გზის მონაკვეთების რეაბილი-

ტაციის პროექტზე ვმუშაობთ. გუნდური მუშაობის პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანია — გვითხრა მერის წარმომადგენელმა.



ოზურგეთის ცენტრალური მოედანი ზვიად გამსახურდიას სახელობისა



2004 წლის მარტიდან, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის წინა სივრცეს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული გმირის, პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას სახელი, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში საკადასტრო კოდით №26.26.47.162, რომლის დაზუსტებული ფართობი 7586 კვადრატული მეტრია.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო

ვერიდობით ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მივემართა მოედნისათვის მიეცათ სახელთან დაკავშირებული სიმბოლური დატვირთვა. ჩვენთვის გაუგებარი და ღირსების შელახვაა ადამიანთა მცირე ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად მთელი საზოგადოების უგულვებელყოფა, რადგან მოედნის რეკონსტრუქციის პროექტში უგულვებელყოფილია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახელი და წარმოდგენილია სახელით „თეატრალური მოედანი.“

ამის გამო ჩვენ წერილობით მივმართეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ დავით დარჩიას, მერს, ბატონ ავთანდილ თალაკვაძეს, (30.09.2022 წ.) რომ მიგვანჩია მათდამი დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების მიერ დაშვებული შეცდომები, რაც გამოიხატება საპროექტო დავალების არასწორ მომზადებაში.

დემოკრატიკა ეფუძნება ხალხის ნდობას, ამ საკითხში ზედმეტად მიგვანჩია დისკუსიის გამართვა და დროის კარგვა. ყოველივე სასწრაფოდ

უნდა გამოსწორდეს. კერძოდ: პროექტში დაჩქარებული წესით შევიდეს ცვლილებები:

სამშენებლო მოედნის წინ გაკეთდეს აბრა „მიმდინარეობს ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნის რეკონსტრუქცია;“

საჯაროობის მიზნით მერიის საიტზე მოედანს დაემატოს ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედნის სახელწოდება;

იმედი გვაქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია გაითვალისწინებს და გამოასწორებს ჩვენს მიერ ზემოთ თქმულ საკითხებს.



წერილს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელით ხელს აწერენ:

ზაურ კოსტავა, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი;

ვანტანგ მაქიშვილი, ოზურგეთის რიონის პირველი მოწვევის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ჯანმრთელობის დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

გელა ბოლქვაძე, ჰელსინკის კავშირის წევრი.

თბილისში ქუჩებს ანზორ ერქომაიშვილის და ჯემალ ჭკუასელის სახელები მიენიჭა



თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში ორ ქუჩას ანზორ ერქომაიშვილის და ჯემალ ჭკუასელის სახელები მიენიჭა.

„მოსარული ვარ, რომ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჩულურეთის რაიონში მოხდა ჭკუასელის ქუჩის სახელის ცვლილება და მას ეწოდა, ჩემი საყვარელი გურიის კუთხის შვილის - ანზორ ერქომაიშვილის სახელი, რომლის მოღვაწეობა უკავშირდება ქართული ფოლკლორის განვითარებასა და პოპულარიზა-

ციას.“—წერს საქართველოს პარლამენტის წევრი რიმა ბერაძე.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, დიღუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩასა და სკვერს, ცნობილი მომღერლის, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელის ჯემალ ჭკუასელის სახელი მიენიჭა.

როგორც გაზეთ „ალიონს“ აცნობეს, ქ. ოზურგეთში, ბუჟუის სანაპირო ქუჩას მიენიჭება ანზორ ერქომაიშვილის სახელი.

ლილი მუჯირი-მანარაძე 85 წლისაა



ლილი მანარაძე 85 წლის გამძღარაა. 85 წამთარსა და 85 გაზაფხულს ჩაუვლია. ასაკის კვალობაზე საკმაოდ კარგად გამოიყურება, ნათელი გონებით. თანატოლების მსგავსად იხსენებს განვლილ წლებს: ბავშვობას, 1 სექტემბრის დილას, სტუდენტობის დაუვიწყარ წლებს, პირველ და მარადიულ სიყვარულს, უსაყვარლეს მეგობრებს.

სოფელ ზვარბეთში, მოსიყვარულე წყვილის ლეო და ვასო მუჯირების ოჯახში დაიბადა. საყვარელ დებთან, დინა და ნორა, ძმასთან გურამ მუჯირთან ერთად ბედნიერი ბავშვობა გაატარა.

პირველი სექტემბრის ზარმა ჯერ ზვარბეთის დაწყებით სკოლაში ჩამოკრა, შემდეგ იყო მერიის რვაწლიანი სკოლა, მოგვიანებით კი საოცნებო ოზურგეთის ქალთა სკოლა. ეს უკვე ოცნების ახდენას ჰკავდა.

უბრწყინვალესი პედაგოგები მარგალიტა კუნჭულია, შალვა სარიშვილი, ნინა ალექსეევანა (გოგუაძე)... და რა თქმა უნდა, მაშინდელი დირექტორთა დირექტორი, ცნობილი ელენე თავართქილაძე. საყვარელი, უნიჭიერესი თანაკლასელები ლარა ვადაჭკორია, ლამზირა გიორგაძე, იზოლდა დათუნაიშვილი, ციცო შარაძე...

ადრეული ბავშვობიდან გუშინდელივით ახსოვს სასკოლო სპექტაკლი „უჩა უჩარდია“, სტუდენტობიდან — 1956 წლის უმძიმესი 9 მარტი. სულიწმინდის ტრაგედია, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა გონებაში.

თავად ლილი მანარაძე ასე იხსენებს: „1956 წლის გაზაფხულზე ნადრეკად აყვავილდა ნუში. საქართველოს სტუდენტ-ახალგაზრდობა ტოტალიტარულ რეჟიმს დაუპირისპირდა. მიუხედავად იმისა, რომ 9 მარტი საქართველოს მოუშუშებელ იარაღ დარჩა, ქართველებმა დაამტკიცეს, რომ გაუტეხელნი არიან. მომიტინგეების გვერდით ვიდექით მე, ჩემი ძმა გურამ მუჯირი და მეუღლე გურამ მანარაძე. მაშინ სტალინის დისკრედიტაცია გაივრცელდა იყო ქვეყნის დისკრედიტაციასთან. ასე ვფიქრობდით მაშინ. ჩვენთან ერთად იყვნენ მუხრან მაჭავარიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვალაკტიონიცი კი, რომელიც იმ დროს „ლეჩქომბინაში“ მკურნალობდა. მოდიოდა, ლექსს წაგვიკითხავდა და ისევ იქ ბრუნდებოდა. მიტინგი დღითი დღე ძლიერდებოდა, ხალხის აზვითობამ პიკს მიაღწია კავშირგაბმულობის შენობასთან. მალე სროლის ხმა გაისმა, ახალგაზრდები დახვრიტეს, სისხლისფერი დაედო მტკვარს, სადაც გვამებს ყრიდნენ... შიში მიყრობს, როცა ამ შეშარავ სურათს ვიხსენებ. მძიმე შიშისა ქვეყანა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, არავის ეგონა, მსგავსი ისევ განმეორდებოდა, სამწუხაროდ ასე მოხდა 1989 წლის 9 აპრილს. მაშინაც თბილისში ვიმყოფებოდი ოპონთან ერთად.“

ლილი მანარაძეს დიდი სიყვარული არგუნა განგებამ, სიყვარული, რომელიც საშუალო სკოლაში დაიწყო, მარადიული სიყვარული.

მიუხედავად ჩემი რესპოდენტის სურვილისა, ვერ შევძელი გვერდი ამეგლო გურამ და ლილი მანარაძეების წერილებისთვის, რომელსაც ოჯახი დღემდე სათუთად ინახავს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს,

როგორ სათუთად უყვარდათ გასული საუკუნის 60-ელებს საქართველოში.

„მივიღე შენი წერილი (წერს ლილი გურამ მანარაძეს), მე ბევრჯერ გამიმხელია შენთვის შენდამი დამოკიდებულება. ეს გრძნობა მასულდემულებს, მაცოცხლებს, მასაზ-



გურამ და ლილი მანარაძეები

ღობებს, მგვრამ იქნებ ისეთ რამეს ვაკეთებ, რომელიც არ მოგწონს. მხედველობაში მაქვს მთავარი როლი „უჩა უჩარდიაში.“

საპასუხო წერილში ვკითხულობ: „ლილი, როგორ ჰგონია, შენს წინაშე რაიმე ცუდი გრძნობა მამომრავებს? არა, წმინდა გრძნობით მიყვარხარ. კარგად დაფიქრდი, სასწორის სიზუსტით აწონ-დაწონე, სიყვარული ძალით შეუძლებელია, მწერ, იქნებ არ მოგეწონოსო. როგორ გეკადრება, ეჭვიანი კაცი არა ვარ, ნებისმიერ სპექტაკლში ითამაშე, რომელიც მოგეწონება. ტოლ-სწორებს ხომ არ გამოაკლდები. ოღონდ ვთხოვ, იფიქრე ჩემზე.“

მათ ერთად იცხოვრეს, იღვაწეს, შვილები აღზარდეს, თავიანთი პროფესიული ვალი მოიხადეს. გურამ მანარაძე წლების მანძილზე აგროსამრეწველო გაერთიანების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ლილი კი დამზადების გაერთიანების მთავარი ეკონომისტი.

დღეს მათი შთამომავლები

ღირსეულად ასრულებენ თავიანთ პროფესიულ მოვალეობას, არიან კეთილშობილი ადამიანები. ჩვენი კოლეგა — მანანა მანარაძე, შვილთან, გიორგი თენიეშვილთან ერთად, ამერიკაში ცხოვრობს. გიორგის მეუღლე — ეკატერინე მალულარია ქართველი

ვაჟიშვილი ზვიად მანარაძე რეგიონული სასამართლოს მენეჯერი — კარგი პროფესიონალი და ბრწყინვალე პიროვნებაა. რძალი — ნონა კვაჭანტირაძე წარმატებული ეპიდემიოლოგია. მათ სამი ნიჭიერი შვილი: ლიზი, მარი და ბაბუსა სენია — გურამ მანარაძე ჰყავთ.

* * *

დაბადების დღე ლილი მანარაძეს უამრავმა ახლობელმა და მეგობარმა მიულოცა. მათ გამოხატეს მადლიერება და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს, რომელთაც თავად იუბილარმა ექსპრომტად სტოფი მიუძღვნა:

„ არ ვიცო, კიდევ თუ მოვესწრები, ამ ზამთრის შემდეგ გაზაფხულის ისევ დადგომას, მოლოცვისათვის, თბილ


სიტყვებისთვის, გახსენებისთვის ყველას მადლობა.“

ჩემის მხრიდან მსურს, ლილი მანარაძეს გულთბილად მივულოცო დაბადების დღე და ვუთხრა: შენ ჩვენ გვეჭირდები, ლილი, სჭირდები ოჯახს, ღირსეულ შთამომავლობას, მეგობრებს, რომლებიც მრავლად გჰყავს, სჭირდები ადამიანებს, რომლებსაც დღეს ძალიან უჭირთ და რომელთა მზრუნველობასაც ისევ ძველებურად აგრძელებ.

მანანა ძილფთარი



ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)



ახსტანგ ბურული
საპარტიული სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო (1918)

სრულიად საქართველოს სამკლესიო პრეზიდიუმი, საპარტიული საბჭო და პარტიული კათალიკოსი

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება. ეს კრება შესდგება 120 წევრისაგან, რომელთა შორის 40 სამღვდელთაგან წარმომადგენელია (ცხრა-ცხრა ეპარქიებიდან და 4 ქალაქ თბილისიდან), ხოლო 80 მონაწილეა დელეგატი (თვრამეტ-თვრამეტი ეპარქიებიდან და 8 ქალაქ თბილისიდან). ამთ გარდა, კრების მუდმივ წევრებს ითვლებიან ყველა ქართველი ეპისკოპოსები. კრებას თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო როცა იგი არაა, ერთ-ერთი მღვდელთაგანი კრებისავე არჩევიან. კრება ირჩევს საქმის მწარმოებელსაც. ამ კრების კომპეტენციას ექვემდებარება: ა) საეკლესიო კანონმდებლობა, ბ) საეკლესიო სამართალი, გ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების გარჩევა და გადაწყვეტა, დ) პირველი კათალიკოსისა და პირველი საკათალიკოსოს საბჭოს წევრების არჩევა. კრება არის ჩვეულებრივი - სამს წელიწადში ერთხელ და არა-ჩვეულებრივი, როცა საჭიროება მოითხოვს. კრება კანონიერია, თუ მასზე ყველა წევრების 2/3 მაინც გამოცხადდება. თუ კრება პირველ მოწვევაზე ვერ შესდგა, მეორეთ მოწვეული კრება კანონიერია, უკეთუ დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების 1/3-ისა.

საკათალიკოსო საბჭო. საკათალიკოსო საბჭო შესდგება 8 წევრისაგან, რომელთა შორის 4 სამღვდელთაგან წარმომადგენელია და 4 მონაწილე-ბისა (თითო ეპარქიიდან), არჩეულნი 3 წლის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეობს კათალიკოსი, ხოლო როცა იგი არ არის, ერთ-ერთი ეპისკოპოსი, რომელიც ამ შემთხვევისათვის სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ იქნება წინდაწინვე არჩეული. საბჭოს ჰყავს საქმის მწარმოებელი და მისი თანაშემწე, რომელთაც იწვევს თვითონ საბჭო 3 წლის ვადით. ამ ორგანოს კომპეტენციას ექვემდებარება: ყოველგვარი საქმეები სრულიად საქართველოს ეკლესიის შესახებ - საკუთრივ საეკლესიო, სასულიერო-სამოსწავლო და სამეურნეო, რომელთაც მას სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება

დააკისრებს. **კათალიკოსი.** კათალიკოსი არის მხოლოდ „პირველი თანასწორ ეპისკოპოსთა შორის“ (მოციქულთა კანონი 34) და მართლედ შემდგეს საქმეებში ეკუთვნის მას სხვა ეპისკოპოსთაგან განსხვავებული უფლებანი: ა) იგი თავმჯდომარეობს საკათალიკოსო საბჭოს და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებას, ბ) უფლება აქვს მწვემთ-მთავრულად მიმოიხილოს ყველა ეპარქიები, გ) მისს სახელს იხსენიებენ წირვა-ლოცვის დროს მასზე დამოკიდებული ეპისკოპოსები. საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად მას ეკუთვნის: აა) მზრუნველობა უეპისკოპოსოდ დარჩენილ ეპარქიებზე, ბბ) მიღება საჩივრისა ეპისკოპოსთა და საეკლესიო დაწესებულებათა შესახებ და გამოძიების დანიშვნა, გგ) უმაღლესი ხელმძღვანელობა და ზედა-მხედველობა ყველა საეკლესიო საქმეებისა მასზე დამოკიდებულს ეპარქიებში, დდ) მიცემა დათხოვნითი სიგელებისა იმ ეპისკოპოსთათვის, რომელნიც ეპარქიიდან დროებით სხვაგან სადმე მიდიან, ეე) დასასრულ, იგი ხელმძღვანელობს საეპისკოპოსო კანდიდატების არჩევნებს საქართველო კრებაზე, ხოლო სხვა ეპისკოპოსებთან ერთად ხელდასხამს არჩეულ კანდიდატს. მაგრამ დაწყება ისეთის საქმისა, რომელიც მიუღს საქართველოს ეკლესიას შეეხება, კათალიკოსს შეუძლია მხოლოდ ყველა დანარჩენ ეპისკოპოსებისა და სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების თანხმობით, და როგორც სხვა ეპისკოპოსები, იგიც ამავე კრების სამართალს ემორჩილება.

კათალიკოსის არჩევა და კურთხევა. კათალიკოსს ირჩევენ ყველა ქართველი ეპისკოპოსები, წარმომადგენელნი სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელთაგან - რიცხვით 30 (რომელთაგანაც 15 ქართლის ეპარქიისაა, რადგან კათალიკოსი ამ ეპარქიისათვის მთავარეპისკოპოსადაც ითვლება, ხოლო ხუთ-ხუთი დანარჩენი სამი ეპარქიიდან) და მონაწილეა დელეგატები რიცხვით 60 (ცამეტ-ცამეტი ოთხივე ეპარქიიდან და 8 ქალაქ თბილისიდან). როცა კათალიკოსის არჩევა გათავდება, კრება წარუდგენს დასამტკიცებლად ხელმწიფეს და

დამტკიცებისა და კურთხევის შემდეგ აცნობებს ყველა ავტოკეფალურს ეკლესიებს.

სამპარტიო პრეზიდიუმი, სამპარტიო საბჭო და ეპისკოპოსი

სამპარტიო კრება. სამპარტიო კრება შესდგება 90-ის წევრისაგან, რომელთა შორის 30 სამღვდელთაგან წარმომადგენელია და 60 მონაწილე-ბისა. კრებას თავმჯდომარეობს ადგილობრივი ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არაა, თავმჯდომარეს კრება თვითონვე ირჩევს სამღვდელთა შორის. კრებავე ირჩევს საქმის-მწარმოებელსაც. კრება კანონიერია, თუ ყველა წევრების 2/3 გამოცხადდება, ხოლო განმეორებითი მოწვევის შემდეგ კრება კანონიერად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება არა უმცირეს ყველა წევრების 1/3-ისა. სამპარტიო კრება არის ჩვეულებრივი - წელიწადში ერთხელ და არა-ჩვეულებრივი - საჭიროებისა დაგვართ. სამპარტიო კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) მღვდელთაგანისა, საკათალიკოსო და სამპარტიო საბჭოების წევრთა არჩევა და აგრეთვე არჩევა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებისათვის დელეგატებისა; ბ) ყოველგვარი საეკლესიო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ეპარქიაში.

სამპარტიო საბჭო. სამპარტიო საბჭოს თავმჯდომარეობს ეპისკოპოსი, ხოლო როცა იგი არ არის, მაშინ საბჭოს წევრები თვის შორის ირჩევენ თავმჯდომარეს. ეპისკოპოსს გარდა სამპარტიო საბჭოში შედის 6 წევრი, რომელთაგან 2 ეპარქიის სამღვდელთაგან წარმომადგენელია (ერთი მღვდელისა და ერთი მღვდელთაგანისა) და 4 მონაწილეა წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ირჩევიან 3 წლის ვადით. საქმის-მწარმოებელს საბჭოსათვის ნიშნავს სამპარტიო კრება. საბჭოს სხდომა კანონიერია, უკეთუ მასზე გამოცხადდება არა უმცირეს 4 წევრისა. საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) უმაღლესი ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-განმტკიცებაზე ეპარქიაში; ბ) უმაღლესი თვალყურის დევნება სამონასტრო და საეკლესიო ქონებათა მართვა-გამგებობისა ეპარქიაში. ეს ქონება სამპარტიო საბჭოს უცნობელად არ უნდა იხმარებოდეს; გ) განხილვა იმ საქმეებისა, რომელთაც მას საოლქო კრება ან საოლქო საბჭო წარუდგენს; დ) უუმაღლესი სასულიერო სამართალი ეპარქიაში, უკეთუ ამ სამართალს მიმართავს ვინმე; ე) უუმაღლესი მეთვალყურეობა ყველა საეკლესიო დაწესებულებათა და საეკლესიო თანამდებობის პირთა მოქმედებისა ეპარქიაში; ვ) მის ნებადართულად არავის შეუძლია ტაძრის ან მონასტრის შენება დაიწყოს; ზ) საბჭოს შეუძლია მღვდელს მღვდელ-მოქმედება აღუკრძალოს; ?) შეუძლია შეამციროს ან გააძლიეროს დადებული ეპიტიმია, უკანვე მიიღოს ეკლესიიდან განკვეთილი წევრები; თ) იგი ამტკიცებს საეკლესიო მიზნით დაარსებულ საზოგადოებათა, ანუ მძობათა წესდებას; ი) შეუძლია მიიღოს და გაანაწილოს საეკლესიო საჭიროებათათვის კეთილმოწყონე ქრისტიანთაგან შეწირული ფული და უძრავ-მობრავი ქონება; ია) დასასრულ, მას აქვს უფლება, აღსნას ქორწინების დროს ზოგიერთნი დაბრკოლებანი, რომელნიც ნათესაურ

კავშირიდან გამოძინარეობენ; აგრეთვე ზოგიერთი ალექსანდრე, გარდა ბერების ალექსანდრე.

ეპისკოპოსი. მისი უფლება და მოვალეობანი. ეპისკოპოსს ეკუთვნის: ა) სრული უფლება მიუღს ეპარქიაში სწავლა-მოდერებისა; ბ) უფლება ყოველგვარი მღვდელ-მოქმედების შესრულებისა; გ) უზენაესი ზრუნვა, რათა მის ეპარქიაში ყველა მორწმუნენი საღს საეკლესიო სწავლას იცავდნენ; დ) სარწმუნოებრივ საქმეებში მასზე დამოკიდებული არიან ეპარქიის ყველა წევრები და ე) მისს სახელს ადავლენს წირვა-ლოცვის დროს მიუღს ეპარქიის სამღვდელთა.

ეპისკოპოსი ვალდებულია: ა) ყველაფერში პატივს სცემდეს ყველა საეკლესიო დაწესებულებებს ეპარქიაში, რომელნიც კანონიერად არიან დაარსებულნი და იმ საქმეებში, რომლებიც აღნიშნულს დაწესებულებებს ექვემდებარება, მათი წესების თანახმად იქცეოდეს; ბ) დაემორჩილოს საეკლესიო კანონებს და კანონიერად გამოცემულს დადგენილებათ, როგორც საეკლესიო მთავრობისას, ისე სამოქალაქოსას, რამოდენათაც ამ უკანასკნელის დადგენილებანი საეკლესიო მიზნს არ ეწინააღმდეგება. როცა ამა თუ იმ საეკლესიო კანონის ან დადგენილების შესახებ აზრის ორჯოფობა დაიბადება, განსამარტებლად უმაღლეს საეკლესიო მთავრობას უნდა მიმართოს; გ) განუწყვეტილად თავის ეპარქიაში იმყოფებოდეს, ხოლო საკუთარ საჭიროებისათვის ეპარქიიდან წასვლა შეუძლია მხოლოდ სათანადო მთავრობის (საკათალიკოსო საბჭოს) თანხმობით; დ) თავის სამღვდელთაგან და სამწყვოს ხშირ-ხშირად უგზავნოს მოძღვრებითი ეპისტოლეები, რითაც ასწავლოს მათ ქრისტიანობის სწავლებას და მათთან ცხოველი კავშირი იქონიოს; ე) მიმოიხილოს ხოლმე თავისი ეპარქია, რათა მის მდგომარეობას პირდაპირ გაეცნოს; ვ) ყველაფერში დაემორჩილოს სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას; ზ) სამპარტიო საბჭოსთან ერთად მონაწილედეს ხოლმე აღნიშნულს კრებას ყველა ღირს-შესანიშნავ შემთხვევათა შესახებ მის ეპარქიაში, აცნობდეს მას თვისის ეპარქიის მიმოხილვის შედეგებსა და თანაც აღნიშნავდეს იმ ზომებს, რომელნიც საეკლესიო საქმეთა უკეთ მოსაწყობად საჭირო; ?) როცა სათანადო მთავრობა მოიწვევს, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე გამოცხადდეს; თ) უმაღლესი საეკლესიო მთავრობის უცოდინრად არა მოიმოქმედოს რა ისეთი, რაც მის უფლებას აღემტკიცება; ი) წირვა-ლოცვის დროს კათალიკოსის სახელს იხსენიებდეს; ია) სხვის ეპარქიაში თავის ნებით არა დაიწყოს-რა; იბ) დასასრულ, პატივისცემით ეპრობოდეს სხვა მღვდელ-მთავრებისა და სამპარტიო საბჭოების, ანუ სამპარტიო კრებების გარდაწყვეტილებას.

ეპისკოპოსის არჩევა და ხელდასხმა. ეპისკოპოსს ირჩევენ კათალიკოსის ან მისი რწმუნებულის ხელმძღვანელობით კრება ეპარქიის სამღვდელთაგან წარმომადგენლებისა რიცხვით 30 (20 სამღვდელთაგან ხარისხის მქონეთა და 10 მღვდელთაგანისა) და მონაწილეთა დელეგატებისა რიცხვით 60 (რომელთა შორის 5 საკათედრო ქალაქიდანაა), ხოლო ხელდასხმას კათალიკოსი და ორი ეპისკოპოსი, ან

მართო ორი ეპისკოპოსი. ეპისკოპოსის არჩევის დროს კრებას თავმჯდომარეობს ან თვით კათალიკოსი, ან საკათალიკოსო საბჭოს მიერ არჩეული პირი.

შენიშვნა: აღნიშნული კრებისათვის დეპუტატების არჩევის დროს სამღვდელთაგან ხარისხთა მექონი ბერები (არქიმანდრიტები, იგუმენები, მღვდელ-მონაზვნები და ბერ-დიაკონები) სამღვდელთაგან ერთად ჰყრიან კენჭს, დანარჩენი ბერები კი - ერისკაცებთან ერთად. მეორე აზრი: არც ერთ ბერს, თუნდაც იგი სამღვდელთაგან ხარისხითაც იყოს შემოსილი, უფლება არა აქვს სამპარტიო არჩევნებში ან საეკლესიო მართვა-გამგებობაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან მას, თავისი ალექსანდრე თანახმად, ერთხელვე უარი აქვს ნათქვამი საკუთარს ნება-სურვილზე და სანამ იგი ბერად დარჩება, ამ ალექსანდრე ძალა არ დაეკარგება.

საოლქო სამპო პრეზიდიუმი და საოლქო სამპო საბჭო

საოლქო კრება და საოლქო საბჭო - ორივე მართო საკრებულად დაწესებულია. სამპო საოლქო კრებაში თანასწორის ხმით მონაწილეობას იღებენ ოლქის ყველა კრებული წევრები (მღვდლები, დიაკონები და მედავითნები). თავმჯდომარეა და საქმის მწარმოებელს კრება თვითონ ირჩევს. კრების კომპეტენციას ეკუთვნის: ა) საოლქო საბჭოს წევრებისა და თავმჯდომარის არჩევა სამ-სამი წლით; ბ) სამპო საბჭოს ყოველგვარი მოქმედების ანგარიშთა განხილვა; გ) სამპო საბჭოს წევრების ან კრებულთა წევრების უთანადო მოქმედების წინააღმდეგ აღძრული საქმეების განხილვა და განსამართლება; დ) ყოველგვარი სამპო საქმეები.

სამპო საოლქო საბჭო შესდგება თავმჯდომარისა და 4-ის წევრისაგან, რომელთა შორის 2 მღვდელისაგან წარმომადგენელია მთავრებულთ და 2 მედავითნებისა; თავმჯდომარედ უსათუოდ მღვდელი უნდა იქნას. შენიშვნა. საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი.

საბჭოს კომპეტენციას ეკუთვნის: ა) სამღვდლო, სამთავრო და სამედავითნო კანდიდატის გამოცდა (მართო ღვთის-მსახურებისა და მღვდელ-მოქმედების ცოდნაში) და სათანადო მოწმობის მიცემა; ბ) ხელმძღვანელობა სამრევლო კრებათა, როცა ეს უკანასკნელნი კრებულის წევრებს ირჩევენ; გ) სამრევლო კრებულთა წევრებს შორის მომხდარ უთანხმობის განხილვა და გადაწყვეტა; დ) ზრუნვა სარწმუნოებისა და ზნეობის დაცვა-გამდიერებაზე ოლქში; ე) გამგეობა საოლქო სამპო წიგნთსაცავ-სამკითხველონი და მასზე ზრუნვა; ვ) გამგეობა სამპო კასისა; ზ) მოწვევა სამპო საოლქო კრებისა (2-ჯერ მაინც წელიწადში, ხოლო თუ საჭიროება მოითხოვს, უფრო ხშირადაც). კრება უნდა მოწვეული იქნას იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ ამას მოითხოვს არა უმცირეს 5-ს საკრებულ პირისა; ?) დასასრულ, ზრუნვა ოლქის სამღვდელთაგან გაჭირვებულ წევრთა, ქვრივთა და ობლებზე.

(გაბრძობა იქნება)

ახსტანგ ბურული
(საქართველოს ახალი ისტორია, . 1801-1918) წიგნი 3; გვ: 487-490

„ალიონი – 2022“



ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში ღონისძიება გაიმართა



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში ღონისძიება „საქართველოს მემკვიდრეობის დღეები“ ჩატარდა. ღონისძიება დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ექვთიმე თაყაიშვილს მიძღვნიდა და მას ოზურგეთის საჯარო სკოლების (წმ. ნინოს და წმინდა გაბრიელ ებისკოპოსის სახელობის სამრევლო, ქ. ოზურგეთის №2, №5, მერიის საჯარო სკოლები) მოსწავლეები ესწრებოდნენ; სპე-

ციალურად მათთვის წარადგინეს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი პრეზენტაცია, რომელიც დისკუსიით გაგრძელდა. მუზეუმში ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენაც გაიმართა. მოსწავლეებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსგან სამსსოფროდ სიგელები გადაეცათ, ხოლო სკოლების ბიბლიოთეკებს – სააგენტოს მიერ გამოცემული წიგნები.

ღონისძიებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თემურ ბერძენიშვილის პერსონალური გამოფენა „ბახმაროს კვიზაშები“


ალიონი. ედმონდ კალანდაძის სახელობის ჩოხატაურის სახეობის ხელოვნების გალერეაში თემურ ბერძენიშვილის პერსონალური გამოფენა გაიმართა: „ბახმაროს კვიზაშები.“

გამოფენაზე არაერთი ადამიანი გამოვიდა, რომლებმაც შეაფასეს თემურ ბერძენიშვილის გამოფენა. მათ შორის: **მარი შოშოველი** – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების უფროსი; **მზია კვინიტაძე** – სამხატვრო სკოლის მენეჯერი; **თამაზ დარჩიამ** – გურიის რეგიონის მსატყვართა შექოქელებითი კავშირის თავმჯ-

დომარე; **აფთხაძე თეატონი** – ოზურგეთის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის გალერეის დირექტორი და სხვები.

თემურ ბერძენიშვილს გამოფენაზე სიტყვით გამოვიდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე**. თავის სიტყვაში თემურ ბერძენიშვილმა მადლობა გადაუხადა მიწვეულ სტუმრებს და გალერეის თანამშრომლებს.

– გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სახეობის ხელოვნების 16 ფერწერული ნამუშევარი „ბახმაროს კვიზაშები“ (სერები) და 40-მდე



გამოყენებითი ხელოვნების დარგის ნამუშევარი, დეკორატიული ვაზები (მასალა ეპოქსიდი), ბამბუკის ღიზანით შექმნილი პრეზები და ასევე ბამბუკისგან და ხის მასალისგან შესრულებული დაზვურის კომპოზიციები.

თემური სისტემატურად მონაწილეობს რეგიონის სავაზო-ფერწერაში და სამუშაოებში გამოყენებში; ამ ბოლო პერიოდში ქ. ქუთაისში, გალერეა „კარლამი“ გაემართეთ გურიელი მსატყვრების რეგიონული გამოფენა, სადაც თემურის რამდენიმე ფერწერული და დეკორატიული ღიზანი ჰქონდა წარმოდგენილი. ამ გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა ქუთაისის საზოგადოებაში.

თემურ ბერძენიშვილი გამ-

ოირჩევა დროის შეგრძნებითი იმპულსურობით. მის ნამუშევრებში არის ფერთა სიუხვე და მრავალფეროვნება. ის მიმართავს წერის სხვადასხვა ტექნიკას, ზოგან პასტოზურად, თერწავს ფორმებს, ზოგან სადა, რბილი ფერწერა იგრძნობა.

ხასიათის მიხედვით ბახმაროს მისეული ხედა და გადმოცემს შეუძლებელია ფოკუსირება იმპულსურობის გარეშე. ის კარგად იმ წიაღში და მისი შექოქელების განუზომელი ნაწილია.

თემურ ბერძენიშვილი არის მსატყვარი, რომელიც ძიებასა და მუდმივ შრომას – განაცხადა ვაზეთ „ალიონთან“ **თამაზ დარჩიამ**.



7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა
+6+12
10 ნოემბერი
ხუთშაბათი

მზიანი ღრუბლი
+6+14
11 ნოემბერი
პარასკევი

ღრუბლი
+6+13
12 ნოემბერი
შაბათი

წვიმა
+4+11
13 ნოემბერი
კვირა

წვიმა
+5+10
14 ნოემბერი
ორშაბათი

წვიმა
+10+19
15 ნოემბერი
სამშაბათი

მზიანი ღრუბლი
+7+18
16 ნოემბერი
ოთხშაბათი